ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3640854

ნომერი: AR1552400

თარიღი : 26.10.2017

გაცემის თარიღი : 26.10.2017

გაცნობის თარიღი : 29.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით შენგელია პ/ნ 01024003652
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24ბ ბ. 24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 26 ოქტომბრის №AR1552400 განცხადებით მომართა დავით შენგელიამ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2014 წლის 17

ნოემბრის №1599084 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩის N79-ში, შპს ,,გერმანული სამშენებლო კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.12.04.001.145 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას და განმარტავს, რომ უნდა შეიცვალოს ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, საერთო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 3526.79 კვ.მ ნაცვლად 3456.11 კვ.მ-სა, საცხოვრებელ ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1764.22 კვ.მ ნაცვლად 1700.8 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობი უნდა იყოს 337.2 კვ.მ ნაცვლად 330.9 კვ.მ-სა და დამხმარე ფართობად უნდა დაფიქსირდეს 593.5 კვ.მ ნაცვლად 592.5 კვ.მ-სა.
განმცხადებელი ასევე ითხოვს 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმებული IV და V სართულების, 9.90 და 13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმების, 2017 წლის 26 ოქტომბრის №AR1552400 განცხადებაში წარმოდგენილი IV და V სართულების, 9.90 და 13.20 ნიშნულების კორექტირებული საპროექტო გეგმებით ჩანაცვლებას.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 26 ოქტომბრის №AR1552400 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1764.22 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3526.79 კვ.მ; საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 337.2 კვ.მ; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 593.5 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმებული IV და V სართულების, 9.90 და 13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმები, 2017 წლის 26 ოქტომბრის №AR1552400 განცხადებაში წარმოდგენილი IV და V სართულების, 9.90 და 13.20 ნიშნულების კორექტირებული საპროექტო გეგმებით.
3. სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.